საბავშვო ბაღი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

კორექტირება

ქ. თბილისი, ქუჩა ირინე სხირტლაძის, N 2, გამზირი აღ. ყაზბეგი , N34ა; N34ბ; N34გ -ს მიმდებარედ აღ. ყაზბეგის გამზ. N34-ის ეზოში, N101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით (ს.კ. : 01.14.03.042.426)

შემსრულებელი: ირაკლი დათუკიშვილი



თბილისი 2025

სამშენებლო ტერიტორიის და ობიექტის დახასიათება:

მიღებული საპროექტო გადაწყვეტით ობიექტი წარმოადგენს ერთგვაროვან რელიეფზე მორგებულ 3 სართულიან შენობას. პირობით ნიშნულად 0.00 მ მიღებულია შენობის I სართულის იატაკის დონე რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 467.81 მ-ს. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, გაბარიტებით 18.96x43.40 მ. მზიდი კონსტრუქციები +6.40 ნიშნულამდე შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის სივრცით კარკასში ხისტი კვანძებით. კარკასის ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად გამოყენებულია კვადრატული განივკვეთის 40x40 სმ და წრიული 50 სმ დიამეტრის სვეტები, რიგელების განივკვეთებს აქვს სწორკუთხა ფორმა, ზომებით 40x50 სმ. შენობის სართულშუა გადახურვა ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის ქარხნული წარმოების ანაკრები ღრუტანიანი ფილებით, სისქე 20 სმ. +6.40 ნიშნულიდან კონსტრუქცია გრძელდება ლითონის კარკასში. კარკასის ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად გამოყენებულია კვადრატული განივკვეთის 20x20 სმ ლითონის სვეტები, ჰორიზონტალურ კავშირებად გამოყენებულია 20x15 სმ ლითონის კოჭები ხოლო ვერტიკალურ კავშირებად 7.5x7.5 სმ კუთხოვანები. საძირკვლად მიღებულია ლენტური 120x25 სმ და წერტილოვანი (200x200x50; 250x250x50) ტიპის საძირკვლები -კომბინირებული ტიპის. კონსტრუქცია დაფუძნებულია რბილპლასტიკურ თიხნარზე მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე აღებულია R_0=1.9 კგ.ძ/სმ^2). სახურავი წარმოადგენს შველერების და კუთხოვანების კარკასზე მოწყობილ სენდვიჩპანელის ქანობიან (5.6 %) გადახურვას.

სამშენებლო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:
ქარის სიჩქარე - 32.0 მ/წმ;
თოვლის საფარის წონა - 50 კგძ/მ^2.
მიკროდარაიონების მიხედვით სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას.
წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად (შემსრულებელი შპს „კირკიტაძე და კომპანია“) სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან. სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა, აგრეთვე შენობის მშენებლობის დროს სელიტებურ ზონაში მტვრის გაფანტვისაგან დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ნაკვეთი უნდა შეიღობოს დროებითი სამშენებლო ღობით და მოეწყოს ქვეითთა უსაფრთხოების ქოლგა (თანდართული სქემების შესაბამისად).

მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები:

მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები: ჩემს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-01-85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნებს მშენებლობაზე, შრომის ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით. აგრეთვე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- ობიექტის დათვალიერება;

I რიგის სამუშაოები:
I ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები

1. მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან პირველ რიგში უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული რეკომენდაციები და მოთხოვნები. ამის შემდგომ სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. პროექტის შედგენა უნდა მოხდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტების შესაბამისობით.

1.2. დროებით სამშენებლო ღობეზე საინფორმაციო დაფის დამაგრება

1.3. სამშენებლო ტერიტორიის უზრუნველყოფა წყლითა და ელექტრო ენერგიით ადგილებზე არსებული წყაროებიდან.

1.4. დროებით სამშენებლო ღობე უნდა მოეწყოს ლითონის ფურცლების, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, სურვილის შემთხვევაში შეღებილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მითითებების გათვალისწინებით. ღობეზე უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა მშენებლობის ნებართვით დადგენილი მონაცემებით.

1.5 მშენებლობისას სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა განხორციელდეს ურბანულ სამსახეში და თბილისის საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზების სქემის მიხედვით რომლის მოხსნაც მოხდება მშენებლობის დასრულებისას.

II ეტაპი - მიწის ნაკვეთის დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2.1. მოხდეს შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება სპეციალისტის მეშვეობით, ამის შემდეგ კი განხორციელდეს შენობის გარე კონტურისა და ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების გრუნტზე სათანადო წესით ფიქსაცია.

II რიგის სამუშაოები:

III ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები, ფუძის მოწყობა, საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვან ნიშნულს ზემოთ

3.1. მიწის სამუშაოების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას უსაფრთხოების ნორმები, ასევე აუცილებელია ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება

3.2. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლის მოწყობა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად გრუნტის შემადგენლობის გათვალისწინებით:

I - ნიადაგის ბუნებრივი სახის შენარჩუნების მიზნით სასურველია მოხდეს მიწის ზედაპირის მოხსნა და დროებით დასაწყობება სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით.

II - პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს ჩამჩიანი ექსკავატორით ან ხელით ქვაბულის ამოღება შენობის საძირკვლის ტიპის გათვალისწინებით, პარალელურად უნდა მოხდეს მოჭრილი მიწის ტერიტორიიდან გატანა ან მისი დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით.

3.3. მიწის სამუშაოების შემდეგ საძირკვლის მოწყობამდე უნდა განხორციელდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო ხაზების გათვალისწინებით, ასევე აუცილებელია ღერძების დაბმა მოხდეს უძრავ ელემენტებზე, ეს შეიძლება იყოს არსებობის შემთხვევაში მუდმივი ან დროებითი ღობე ან ხელით დამონტაჟებული ლითონის ან ხის ბოძი, რომელიც ასევე აუცილებლად შესაბამისობაში უნდა იყოს საკადასტრო საზღვართან.

3.4. მიწის სამუშაოებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ინჟინერ სპეციალისტინს მოთხოვნები და რეკომენდაციები. მაქსიმალურად იქნას დაცულის უსაფრთხოების ნორმები და ასევე გრუნტის ამოღების ყველა ეტაპი განხორციელდეს საპროექტო შენობის მთავარ კონსტრუქტორთან შეთანხმებით. მოჭრილი მიწა გატანილი იქნას სამშენებლო მოედნიდან.

3.5. მიწის სამუშაოების დასრულების შემდგომ (მას შემდეგ რაც მოხდება საძირკვლის ქვაბულის მოწყობა) უნდა მოიტკეპნოს ქვაბულის ძირი, შემდგომ მასზე მოეწყოს ხრეშკენჭნარის 20-30 სმ სისქის ფენობრივად დატკეპნილი ბალიში. შემდგომ მოხდეს მასზე ჰიდროიზოლაციის მონტაჟი, რომელზედაც მოეწობა ბეტონის მოსამზადებელი ფენა. ანალოგიური თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს საძირკვლის ტიპისი მიხედვით მისი სხვა ელემენტების მონტაჟიც. საძირკვლის მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს იატაკის მოწყობის სამუშაოები.

3.6. საძირკვლის ძირითადი ნიშნულები უნდა გაკონტროლდეს გეოდეზიური ინსტრუმენტების გამოყენებით ნიველირით ან თეოდოლიტით.

3.7. საძირკვლის სამუშაოების დასრულებისა და მისი გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტების, რიგელების და ქარხნული წარმოების ანაკრები ღრუტანიანი ფილებით სართულშუა გადახურვის მოწყობა. ყველა ტიპის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციისათვის წინასწარ უნდა მოეწყოს ხის (ფიცრის ან ფანერის) ყალიბები. შემდგომ მასში მოხდეს კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით ლითონის არმირება, ხოლო ამის შემდგომ მოხდეს თითოეული კონსტრუქციის დაბეტონება შესაბამისი ნორმებისა და ტექნოლოგიების დაცვით. სასურველია ზემოაღნიშნული სამუშაოები ჩატარდეს საპროექტო შენობის მთავარი კონსტრუქტორის რეკომენდაციების მიხედვით და ასევე მოხდეს ეტაპობრივად აღნიშნული სამუშაოების ფოტო ან ვიდეო საშუალებით დაფიქსირება და ინფორმაციის შენახვა.

3.8. მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციის სამუშაოების დასრულებისას და შესაბამისი წესით ქარხნული წარმოების ანაკრები ღრუტანიანი ფილებით სართულშუა გადახურვის მოწყობის შემდგომ უნდა განხორციელდეს ლითონის სვეტების ჩაანკერება არსებულ კონსტრუქციაში რის შემდგომაც მოხდება ლითონის კოჭების შედუღების გზით დაკავშირება. ლითონის კონსტრუქციის გახისტებისთვის მილკვადრატებს შორის უნდა მოეწყოს ვერტიკალური კავშირები კუთხოვანების გამოყენებით.

3.9. ასევე სავალდებულოა, როგორც მონოლითური სამუშაოების ისე ლითონის და შემდგომი გარე პერიმეტრის კედლებისა და მოაჯირების მოწყობის დასრულებამდე მოეწყოს დროებითი დამცავი ბადე და ლენტები. ასევე სასურველია ღამის განათებების მოწყობა.

IV ეტაპი - სახურავის მოწყობა: არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

4.1. კარკასული სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა მოეწყოს სენდვიჩპანელის ქანობიანი გადახურვა და მოხდეს სახურავის იზოლაციის მოწყობა წყალჩამომყვან სისტემასთან ერთად.

4.2. გადახურვის მოწყობის შემდგომ უკვე შესაძლებელია გარე და შიდა კედლების მსუბუქი ბლოკის წყობით შევსება; კარ-ფანჯრების მონტაჟი; შენობის შიდა და გარე კედლების გალესვა; შენობის ფასადის იზოლაცია და საფასადე მასალით მოპირკეთება.

4.3. ასევე სახურავის მოწყობის შემდგომ შესაძლებელია ისეთი შიდა სამუშაოების დაწყებაც, როგორიცაა სან-ტექნიკისა და ელექტრომატყვანილობის მოწყობა.ასევე შესაძლებელია მოხდეს იატაკის კვიმა ცემენტის ხსნარით მოჭიმვა კედლის ბათქაშითა და პროექტის შესაბამისი მოპირკეთებით დამუშავება და ა.შ.

4.4 გარე ფასადის სამუშაოები უნდა შესრულდეს ვერტიკალურად მიდგმული სახარაჩოო სისტემით.

სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს ინსტრუმენტალური კონტროლისა და საავტორო ზედამხედველობის ქვეშ შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების გაწუხრელი დაცვით.
კარკასისა და კედლების ამოსაყვანად გამოიყენება მობილური ამწე მანქანა და საწევლები. მასალების მიღება სასურველია მოხდეს საპროექტო ნაკვეთზე წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მისი შემოტანვისთანავე.
ცალკეული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობითა და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

V ეტაპი - მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, ობიექტის დასუფთავება და ჩაბარების წინა სამუშაოები

5.1. შენობის ექსპლუატაციაში მიღება ვერ მოხდება შენობის სრულ დასრულებამდე.
5.2. მშენებლობის წარმოების ბოლო თვეებში უნდა მოხდეს ტერიტორიის კეთილმოწყობა და სამშენებლო ნაგვის გატანა.
5.3 მშენებლობის ყველა ეტაპი უნდა განხორციელდეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებული დოკუმენტაციის სრული გათვალისწინებით. დაუშვებელია მშენებლობის წარმოებისას საპროექტო შენობის თვითნებურად შეცვლა კორექტირებისა და შესაბამის პირებსა თუ ორგანიზაციებთან შეთანხმების გარეშე.
5.4. ასევე აუცილებელია ხდებოდეს სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების სრული კონტროლი.

მშენებლობა აუცილებელია წარიმართოს დამტკიცებული პროექტის სრული შესაბამისობით. მშენებლობის პროცესში ობიექტური მიზეზებით ნახაზებში ცვლილებების შემთხვევაში გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს ავტორებთან მათთან ოფიციალური ნებართვის გაცემითა და ახალი ნახაზების მომზადებით.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესები, მეთოდები და შესადგენი ნორმატივები:

მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა ,,კრებული სამახსოვრო ,,სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან.
შრომატევად და საპასუხისმგებლო სამუშაოებად გვევლინება დაარმატურებისა და დაბეტონების პროცესები. მათი შესრულება აუცილებელია სნ და წ 111-15-76 მოთხოვნილებების დაცვით.
ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-18-79 „ლითონის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია“;
- სნ და წ 3.04.03-85 „კოროზიისაგან დაცვა“;
- სნ და წ 111-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები“;
- სნ და წ 111-30-79 „წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები“;
- სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“;
- სნ და წ 111-10-78 „ტერიტორიის კეთილმოწყობა“;
- სნ და წ 111-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა“;
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისდროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;
- ინსტრუქცია „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ“;
- ინსტრუქცია „მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექს პლუატაციაში მიღება“.
აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:
- გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;
- მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილება „განსაკუთრებული ობიექტების ნებართვის გაცემის და ექსპლუატაციაში მიღების წესი“.

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ნახაზების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლოსამონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.
ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.
კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.
მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით,
ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდებულია სამშენებლო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების მეთვრშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მეთვრის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.
არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე კანონით დადგენილია დაპროექტებისა და მშენებლობის განხორციელების წესები და პირობები, უკანონო მშენებლობებისა და მშენებლობაზე დარღვევებზე რეაგირება-სანქციების შესახებ დებულებები.

მოთხოვნები კადრებზე და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსებზე:

დამკვეთის მხრიდან მოწოდებული ინფორმაციით წლის პერიოდში მშენებლობაზე ყოველდღიურად უნდა დასაქმდეს საშუალოდ 6-8 მუშაკი მთლიანი სამშენებლო პროგრამის შესასრულებლად. ცხადია მათი რაოდენობა მშენებლობაზე დაძაბულობის გათვალისწინებით დროის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იქნება.
ჩვენს შემთხვევაში დასაქმებულთა მაქსიმალურ რაოდენობაში (8 მომუშავე) მუშები შეადგენენ 80%-ს, ინჟინერ-ტექნიკური და საშუალო ტექნიკური პერსონალი 10%, ტრანსპორტის მომსახურებაზე - 10%. ამდენად იქნება 6 მუშა, 1 ინჟინერი და 1 ტექნიკური მუშაკი.

მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ:

შენობის მშენებლობა დამკვეთის მიერ განსაზღვრულია 24 თვის ვადაში, რაც არის გაწერილი და გათვალისწინებული მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში. გეგმიურად დადგენილი ხანგრძლივობის დაცვა შენობის მშენებლობაზე 36 თვის პერიოდში შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების შემთხვევაში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ქ, თბილისის რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმაც. სამუშაოთა შესრულების ვადების დაცვა უწყვეტ ფინანსირებაზეა დამოკიდებული, რაც უნდა გაითვალისწინოს დამკვეთმა.

რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები:

მშენებლობის ნორმების უწყვეტი რიტმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომედირებული ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ.

1. ექსკავატორი ბულდოზერის ფარით 1მ^3 ჩამჩის ტევადობით - უცხოური წარმოების - 1 ც
2. ბულდოზერი 3მ^3 - უცხოური წარმოების - 1 ც
3. ავტოთვითმცლელი, სპეც. ავტოტრანსპორტი სამშენებლო მასალების შემოსატანად - უცხოური წარმოების - 2 ც
4. ავტოამწე (მობილური) მასალის გადმოსატვირთად და დასასაწყობებლად - უცხოური წარმოების - 1 ც
5. ზედაპირული ვიბრატორი - C-697 - 1 ც
6. ე.წ. "ბობკატი" - უცხოური წარმოების - 1 ც
7. ავტობეტონმრევი მიქსერით - B-5 - 1 ც
8. გადასატანი კომპრესორი - CO-45 - 1 ც
9. შესადუღებელი აგრეგატი - CO-48 - 1 ც
10 ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი - CO-89 - 1 ც
11. შესალეს მოსასწორებელი აგრეგატი - CO-54 - 2 ც
12. სამშენებლო საწევლა თვითწარმოებით 300 კგ, ტვირთის აწევით სიმაღლეზე 30მ - TP-5 - 1 ც
13. მეტალის მჭრელი აგრეგატი - უცხოური წარმოების - 1 ც
14. ავტომენური შედუღების აპარატი - 1 ც
15. სამღებრო სადგური - 2 ც

მშენებლობაზე შრომის და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლოსამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი "მშენებლობის უსაფრთხოების წესები" (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. #361 დაგენილებით;)"; და ,,სნ და წ. 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.
ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.
ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.
მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.
ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.
საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, პარკეტზე ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.
საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება სიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის სიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითმბასხნა რომ არ მოხდეს.
მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.
ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.
სამშენებლო მოწყობილებათა ჩართვა (საწევლები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.
ამწე საწევლების; ელექტროსაწევლას და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პეროდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.
უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ავტოამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.
აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში.

ხმარების წინ ინსტრუმენტი უნდა იქნეს დათვალიერებული. ინსტრუმენტის ხმარებისას გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.). ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს. აკრძალულია სამშენებლო ინსტრუმენტების გამოყენება არადანიშნულების მიხედვით.

დაუშვებელია მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

ელექტრო ან პიროვანი აპარატებით ლითონის ელემენტების ჩაჭრისას, 5 მეტრის რადიუსში ტერიტორია უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ფეთქებადი (მაგალითად შანგბადის ბალონები) მასალებისაგან. სამშენებლო სამუშაოებზე მანქანების, ინსტრუმენტის, ინვენტარის, ტექნიკური აღჭურვილობის, მოწყობილობის, კოლექტიური და ინდივიდუალური საშუალებების ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება: მანქანების და დამცავი საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობაზე ორგანიზაციას, რომლის ბალანსზეც ისინი ირიცხებიან; სამუშაოთა წარმოების შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებზე ორგანიზაციას, რომელიც აწარმოებს სამუშაოებს.
დამუშავებულ ქვაბულში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ჩასვლისათვის უნდა ჩაიდგას ინვენტარული კიბეები ყოველ 25-30 მეტრზე, ამავე დროს აუცილებელია ქვაბულის ფერდოების ჩამოშლისადმი მდგრადობის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში მისი გამაგრება შეფიცვრით ან შპუნტებით.
ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.
ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი

ლითონის კონსტრუქციების მონტაჟის ყველა სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ 3.03.01-87 ,,მზიდი და შემოფარგვლელი კონსტრუქციები"-ს (თავი 4) მოთხოვნების და დამტკიცებული პროექტის შესაბამისად.

ლითონის კონსტრუქციების გადმოტვირთვა და შენახვა, აგრეთვე მათი ტრანსპორტირება უნდა მოხდეს კონსტრუქციებისა და მათი შეღებვის დაუზიანებლად. სატრანსპორტო საშუალებებიდან კონსტრუქციების ჩამოყრა აკრძალულია.
კონსტრუქციების საწყობსა და სატრანსპორტო საშუალებებზე დალაგების დროს ისინი დაწყობილი უნდა იქნენ ქვესადებზე მდგრადად, რომელთა შორის მანძილი უნდა გამორიცხავდეს ნარჩენი დეფორმაციების წარმოქმნას. ლითონის ფერმები უნდა ინახებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში. კონსტრუქცია არ უნდა ეხებოდეს გრუნტს. კონსტრუქციაზე არ უნდა ჩერდებოდეს წყალი.
კონსტრუქციის თითოეული სექცია მონტაჟის დაწყებამდე დაგრუნტული ან შეღებილი უნდა იქნეს ლაქსაღებავების დამცავი მასალებით სათანადო ტექნოლოგიის დაცვით. როგორც წესი ის სრულდება ქარხანა-დამამზადებლის მიერ ანდა სამშენებლო ორგანიზაციის მიერ კონსტრუქციის სამშენებლო ტერიტორიაზე ან სხვა ადგილას მათ მიერ დამზადების შემთხვევაში. დასამონტაჟებელი კონსტრუქციები გაწმენდილი უნდა იქნეს ჟუჟყის, ყინვის, თოვლის, ზეთის, საღებავისა და შანგისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაზიანებული ადგილები უნდა შეიღებოს.
ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი უნდა შესრულდეს შესაბამისი კონტროლის განხორციელებით, რომელიც უნდა განხორციელდეს დამზადების, მონტაჟისა და მიღების შემდეგ სტადიებზე:

1. დეტალების დამზადების დროს;
2. საერთო ან საკონტროლო აწყობის დროს;
3. კონსტრუქციების წინასწარი დაძაბვის დროს;
4. დაგრუნტვისათვის ზედაპირების მომზადების დროს;
5. დაგრუნტვისა და შეღებვის დროს;
6. გამსხვილებული აწყობისა და დაყენების დროს;
7. კონსტრუქციების გამოცდის დროს.

ლითონის მონტაჟის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მზად იქნება საყრდენი (სვეტების თავები და კოჭ-სარტყელების ზედაპირები და სხვა) ადგილები. კონსტრუქციის დასამონტაჟებლად აუცილებელი დაკვალვითი ღერძები დაიტანება ლითონის დეტალებზე, რომლებიც განლაგებულია საყრდენის ზედაპირზე კონსტრუქციის სამონტაჟო საყრდენის გარეთ. კონსტრუქციის დასამაგრებელი და სამონტაჟო ჩასატანებელი დეტალები და ანკერული ჭანჭიკები, როგორც წესი, დაყენებული და დაბეტონებული უნდა იქნეს საყრდენის მოწყობასთან ერთად. კონსტრუქციების დაყენების ინსტრუმენტალური შემოწმება და დამაგრება უნდა წარმოებდეს ნაგებობის ყოველ სივრცულად ხისტი სექციის მონტაჟის მსვლელობის მიხედვით.
მონტაჟისათვის გამზადებული ლითონის კონსტრუქციების სამონტაჟო ნაკერების შედუღება, დამოქლონება და მუდმივი ჭანჭიკების საბოლოო დამაგრება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემოწმებული იქნება შენობის ან ნაგებობის შესაბამისი ნაწილების კონსტრუქციების დაყენების სისწორე, რაც დადგენილი უნდა იქნეს გეოგეზიური კონტროლის შედეგად. ამასთან მონტაჟისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მომდევნო სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების წარმოება ნებადართულია მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოცემულ სექციაზე მთლიანად დამთავრდება ასაწყობი, შესადუღებელი ან დასამოქლონებელი და ჭანჭიკების დასაყენებელი სამუშაოები.
მონტაჟის პროცესში კონსტრუქციების მდგრადობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონსტრუქციების ელემენტების ვერტიკალური და ჰორიზონტალური მონტაჟის გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით, აუცილებლობის შემთხვევაში დროებითი კავშირების გამოყენებით. მონტაჟის დასრულების შემდეგ კი ხდება შეპირაპირების და მონტაჟისას დაზიანებული ადგილების დამუშავება და შეღებვა.

მშენებლობის ხარისხის, ხმაურის და მტვერის და დაბინძურების კონტროლი

შენობებისა და ნაგებობების მაღალი ხარისხი და საიმედობა სამშენებლო ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო პროდუქციის შექმნის ყველა სტადიაზე ეფექტური კონტროლის განხორციელების გზით.
სამუშაოების წარმოებისას და აშენებული ნაგებობების მიღებისას შესრულებული სამუ-შაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს НиП 3.01.01- 85 -ის მოთხოვნებს.
სამშენელო-სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების ხარისხის კონტროლი უნდა განახორციელოს სპეციალურმა სამსახურებმა, რომლებიც იქმნება სამშენებლო ორგანიზაციებში და აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ აუცილებელ სიზუსტეს, უტყუარობას და სრულ კონტროლს. მშენებლობის ხარისხის კონტროლი ასევე ხდება სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ.
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის საწარმოო კონტროლი უნდა შეიცავდეს საპროექტო დოკუმენტაციის, კონსტრუქციების, ნაწარმის, მასალების და დანადგარმოწყობილობების მიღების კონტროლს და მათი მონტაჟის კონტროლს, ნატურაში გეოდეზიური დაკვალვის სამუშაოების მიღებას:

მშენებლობის ხარისხის კონტროლი ითვალისწინებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშა-ობის შემოსვლის, ოპერაციულ და მისაღებ, ინსპექციურ და გეოდეზიურ კონტროლს.

მშენებლობის დაწყებამდე და პროცესში, მასალების და დანადგარების შემავალ კონტროლს უნდა აწარმოებდეს შემსრულებელი, უშუალოდ დამკვეთის ტექნიკური ზედამხედვე-ლობის ქვეშ და აუცილებლობის შემთხვევაში, დამპროექტებლის საავტორო და ექსპლუატა-ციის გამწევი ორგანიზაციების ზედამხედველობის ქვეშ.

შემსრულებლის მიერ მშენებლობისთვის საჭირო მასალების და დანადგარ-მოწყობილობების შემავალი კონტროლის განსახორციელებლად, შემსრულებელმა უნდა მოახდინოს ყველა, პროექტით გათვალისწინებული, მონტაჟისთვის და სხვა სამუშაოებისთვის საჭირო შემოსული მასალების, ნაწარმის და მოწყობილობის მიღება, გადარჩევა და დამოწმება.
შემოსვლის კონტროლის დროს გარეგნული დათვალირებით უნდა შემოწმდეს მათი შესაბამისობა სტანდარტების ან სხვა ნორმატიული დოკუმენტების და მუშა-დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პასპორტების, სერთიფიკატებისა და სხვა თანმხლები არსებობა და შინაარსი.

ოპერაციული კონტროლი უნდა განხორციელდეს, როგორც საწარმოო ოპერაციების შესრულებისას, ისე დასრულების შემდეგაც, რათა დროულად მოხდეს დეფექტების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად ზომების მიღება.
ოპერაციული კონტროლისას, საჭიროა მოხდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ტექნოლოგიის დაცვის გაკონტროლება, შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან. ოპერაციული კონტროლისას საჭიროა შესაბამისი სამშენებლო, ტექნოლოგიური სქემების და ოპერაციული კონტროლის სქემების ნორმატიული დოკუმენტებით ხელმძღვანელობა.
ოპერაციული კონტროლის შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალში. შესრულებული სამუშაოების მისაღები კონტროლისას, აუცილებელია მოხდეს სამშენებლოსამონტაჟო, მოპირკეთების და სპეცსამონტაჟო სამუშაოების და ასევე პასუხისსაგები კონსტრუქციების ხარისხის შემოწმება და ხარისხი შეფასება, შესაბამის სამუშაოებზე სამშენებლო ნორმებისა წესების მოთხოვნებისა და დასაშვები გადახრების გათვალისწინებით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ინსპექციური კონტროლი უნდა განხორციელდეს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ, რომელიც უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, მეთოდების და საშუალებებს, რომლებიც მიმართულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის და დასრულებული ობიექტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საპროექტო დოკუმენტაციასთან.
ინსპექციური კონტროლი ხორციელდება სპეციალური სამსახურების მეშვეობით, თუ ასეთები არსებობენ სამშენებლო ორგანიზაციის შემადგენლობაში, ან სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომისიების ან ცალკეული სპეციალისტების მიერ.
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის საწარმოო და ინსპექციური კონტროლის შედეგების თანახმად, უნდა შემუშავდეს ღონისძიებები, გამოვლენილი დეფექტების აღმოსაფხვრელად, ამასთან უნდა იყოს გათვალისწინებული საპროექტო ორგანიზაციის საავტორო ზედამხედველობის, დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობის და სახელმწიფო ზედამხედველო-ბის ორგანოების კონტროლის მოთხოვნები.
მშენებლობის ყველა სტადიაზე, ადრე წარმოებული საწარმოო კონტროლის ეფექტურობის შემოწმების მიზნით, უნდა მოხდეს არჩევითი ინსპექციური კონტროლი.

მშენებლობის გეოდეზიური (ინსტრუმენტალური) კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს სნ და წ 3.01.03-84 ,,გეოდეზიური სამუშაოები მშენებლობაში''-ს საფუძველზე. სამშენებლო მოედანზე გეოდეზიური სამუშაოები წარმოადგენს სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიურ პროცესის განუყოფელ ნაწილს და უნდა განხორციელდეს აღებული სამშენებლო მოედნისათვის ერთიანი გრაფიკის მიხედვით, რომელიც უნდა ეთანადებოდეს სამშენებლოსამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების შესრულების ვადებს.

სამშენებლო მოედანზე შესასრულებელი გეოდეზიური სამუშაოების შემადგენლობაში შედის:

-მშენებლობისათვის გეოდეზიური დაკვალვითი საფუძველის შექმნა;

-შიდა სამოედნო დროებითი შენობა-ნაგებობების დაკვალვა;

-საწყის და სამონტაჟო ჰორიზონტებზე შენობა-ნაგებობების შიდა დაკვალვითი ქსელების შექმნა;

-შენობა-ნაგებობის გეომეტრიული პარამეტრების სიზუსტის გეოდეზიური კონტროლი;

-შენობა-ნაგებობების საფუძვლების, კონსტრუქციების და მათი ნაწილების დეფორმაციის გეოდეზიური გაზომვები.

მშენებლობის გეოდეზიული კონტროლო ხორციელდება ნიველირისა და თეოდოლიტის გამოყენებით. შემოწმების შედეგები უნდა აისახოს გეოდეზიული კონტროლის ჟურნალში.
გეოდეზიური კონტროლის დროს მოწმდება:
-შენობის ელემენტებისა და ცალკეული კონსტრუქციების შესაბამისობა პროექტთან მათი მოწყობის პროცესში.
-შენობის ელემენტებისა და ცალკეული კონსტრუქციების შესაბამისობა პროექტთან მათი მოწყობის პროცესში.
-ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატარებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან, ხოლო საინჟინრო-კომუნიკაციებისა და გარე დაკვალვის ქსელის ან რეპერების მყარი წერტილებიდან.

ინსტრუმენტალური კონტროლი:

გეოდეზური კონტროლის დროს მოწმდება შენობის ელემენტებისა და ცალკეული კონსტრუქციების შესაბამისობა პროექტთან მათი მოწყობის პროცესში.
თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში. სანიველირო და დგომითი დაკვალვის ნერტილები უნდა იყოს გაერთიანებული.
ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატანებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან, ხოლო საინჟინრო კომუნიკაციებისა - გარე დაკვალვის ქსელის ან რეპერების მყარი წერტილებიდან.

ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები:

მშენებლობის პერიოდში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. ამ მიზნით სართულებიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა უნდა განხორციელდეს დახურულ ღარებში და ინვენტარული ტიპის კონუსული ნაგავსაყრელების მეშვეობით. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარებში. ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდირებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობები უნდა ჩამოვუშვათ ამწის საშუალებით. აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე მიტანა შესაბამისი სამსახურებთან შეთანხმების შემდეგ.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარ-მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.
ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისად.



პირობითი აღნიშვნები

- საკვლევარეო საზღვარი
- ღერძის ხაზი
- ჭრილის ხაზი
- ფასადის ხაზი
- ±0.00 +467.91 — ნაგების ნიშნული
- ბეტონის ბლოკი
- არმირებული ბეტონი
- მწვანე საფარი
- ღია ფილები
- ასფალტბეტონი
- ქანობი
- ბეტონის მეზურ-გაბიონი
- ბეტონმავთულა გაბიონი
- სიმაღლე
- მეტრობა 1 აბსოლუტი
- საზღვრებული ღობე
- ტრანზიტის მოძრაობა
- საზღვრებული ტერიტორიის მოძრაობის მიმართულება
- მოსაკრი
- დაბლავი ქონება





ArchDisegno

შპს "არქდიზენიო"
(405462039)

დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციები / ექსპერტები

მშმსრულებელი

პროექტის ავტორი

ირაკლი დათუკიშვილი
(01024068893)

პროექტის დასახელება

საბავშვო ბაღი

მის: ქ. თბილისი, ვერა ირინე სარიდლების N 2, გამგირი ალ. სანგები , N34¹; N34²; N34³ -ს მიმდებარედ ალ. სანგების ბაზე. N34-ის ზღვრი, N101 საბავშვო სკოლის ტერიტორიით (ს.კ. : 01.14.03.042.426)

დამკვეთი

შპს "არქიტექტორი"

პროექტი

N 001-426/04.04

ფაილი

მშსრულებელია ArchiCAD - PLA ფაილში და ნარმოდგენილია PDF ფაილის სახით

შეამოწმა

გიორგი დათუკიშვილი

საავტორო უფლება

შპს "არქდიზენიო"

შენიშვნა

1. ნიშნული ±0.00 შეესაბამება +467.91 აბსოლიტურ ნიშნულს;

ნახაზის დასახელება

სამშენებლო გენგეგმა

თარიღი:	19.03.2025
მასშტაბი:	
ფორმატი:	A-3
ფურცელი:	6

| # | სამუშაოთა ჩამონათვალი | დღე | 1 წელი | | | | | | | | | | | | 2 წელი | | | | | | | | | | | |

ჭრილი 3-3



ArchDisegno

შპს "არქდიზენიო"
(405462039)

დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციები / ექსპერტები

შემსრულებელი

პროექტის ავტორი

ირაკლი დათუკიშვილი
(01024066893)

პროექტის დასახელება

საბავშვო ბაღი

მის: ქ. თბილისი, ქუჩა ირინე სხირტლაძის, N 2, გამზირი ალ. ყაზბეგი , $N34^{ა}$; $N34^{ბ}$; $N34^{გ}$ -ს მიმდებარედ ალ. ყაზბეგის გამზ. N34-ის ეზოში, N101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით (ს.კ. : 01.14.03.042.426)

დამკვეთი

შპს "არქიფექტორი"

პროექტი

N 001-426/04.04

ფაილი

შესრულებულია ArchiCAD - PLA ფაილში და წარმოდგენილია PDF ფაილის სახით

შეამოწმა

გიორგი დათუკიშვილი

საავტორო უფლება

შპს "არქდიზენიო"

შენიშვნა

1. ნიშნული ±0.00 შეესაბამება +467.91 აბსოლიტურ ნიშნულს;

ნახაზის დასახელება

საამონტაჟო სქემა

თარიღი:	19.03.2025
მასშტაბი:	
ფორმატი:	A-3
ფურცელი:	8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221112560**
თარიღი: **21/04/2022**
პინი: **9946**

ადრესატი: ნესტორი არჩუაძე
პირადი ნომერი: 01021011607
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, III მიკრო/რაიონი, V კვარტალი, კორპუსი 24ა, ბინა 43

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო ნესტორი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2022 წლის 19 აპრილის № 01221091538-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2022 წლის 19 აპრილის № 01221091538-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, ქუჩა ირინე სხირტლაძის , N 2, გამზირი ალ. ყაზბეგი , N34ა -ს მიმდებარედ,გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34გ მიმდებარედ, გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 34 მიმდებარედ, ალ. ყაზბეგის გამზ. N34-ის ეზოში , N101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.03.042.426) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/vopLcsNMu2Nni0A

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 6 22 01067968

21/04/2022

შპს ''ეს თი სი"-ს წარმომადგენელს
თქვენს 2022 წლის 21 აპრილის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ. თბილისში, ირინე სხირტლაძის ქ. N 2, ალ. ყაზბეგი გამზირი N34ა -ს ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N 34გ ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N 34 ალ. ყაზბეგის გამზ. N34-ის , N101 საშუალო სკოლის აღმოსავლეთით ს/კ 01.14.03.042.426-ის მიმდებარედ სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

- ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას (წერილის ნომერი 21/04/2022 16-01221112560), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე მიმდებარე ტერიტორია მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში და დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;
- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 1 ფაილად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 3.24 - 2ც.
- 3.24 - 2ც.
- 1.26 - 4ც.
- 3.10- 2ც.
- 5.19.2 - 4ც.
- 5.19.1 - 4ც.
- 3.25 - 2ც.
- ციმციმა - 9ც.
- მედროშე 1 ადამიანი

- ქვეითთა მოძრაობა
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- საპროექტო ტერიტორია
- სამშენებლო ლენტი
- ღობურა
- დამცავი ქოლგა
- ჭიშკარი



სქემის დასახელება

საპროექტო ტერიტორიაზე, დროებითი ღობის მოწყობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზება

მისამართი

ქ. თბილისი,

ირინე სხირტლაძის ქუჩა #2

ს.კ. 01.14.03.042.426

შენიშვნა

დროებითი სქემა შედგენილია ვსნ "37 - 84" და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად.

1. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები.
2. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
3. სამუშაოების პერიოდში ტრანსპორტის გადაადგილებას დაარეგულირების მედროშე.

დამკვეთი

შპს "არქიფექტორი"

შემსრულებელი

ArchDisegno
ArchDisegno.co@Gmail.com
+995 595 802 888

შემსრულებელი: სოფიო ჩხაიძე

თარიღი:	4.04.2021
მასშტაბი:	1:700
ფორმატი:	A-3

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 3.24 - 2ც.
- 3.24 - 2ც.
- 1.26 - 4ც.
- 3.25 - 2ც.
- ციმციმა - 9ც.
- მედროშე 1 ადამიანი
- ქვეითთა მოძრაობა
- სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- საპროექტო ტერიტორია
- ჭიშკარი
- ღობურა
- დამცავი ქოლგა



სქემის დასახელება

მშენებლობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზება

მისამართი

ქ. თბილისი,
ირინე სხირტლაძის ქუჩა #2
ს.კ. 01.14.03.042.426

შენიშვნა

დროებითი სქემა შედგენილია ვსნ "37 - 84" და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად.

1. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები.
2. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მეტრს.
3. სამუშაოების პერიოდში ტრანსპორტის გადაადგილებას დაარეგულირებს მედროშე.
4. ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილება მოხდება ქვეითთა უსაფრთხოების ქოლგის გამოყენებით.

დამკვეთი

შპს "არქიფექტორი"

შემსრულებელი

ArchDisegno
ArchDisegno.co@Gmail.com
+995 595 802 888

შემსრულებელი: სოფიო ჩხაიძე

თარიღი:	4.04.2021
მასშტაბი:	1:700
ფორმატი:	A-3

ᲦᲠᲣᲮᲐᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲘᲚᲔᲑᲘ

მხოლოდ ქვეითთა შესასვლელ-გამოსასვლელი

საპროექტო შენობა-ნაგებობა

საფეხმავლო ბილიკი

არსებული შენობა-ნაგებობა

აღნიშნული არსებული შესასვლელ-გამოსასვლელით ჯიშკარით ისარგებლებს მხოლოდ სახანძრო და სასწრაფო დახმარების სატრანსპორტო საშუალებები.
აღნიშნული შესასვლელ-გამოსასვლელი მოეწყობილია ტროტუარის დონეზე.



ი. ხიორტლაძის ქ.

ი. ხიორტლაძის ქ.

მ. ბარათაშვილის ქ.

ო. ლორთქიფანიძის ქ.

ო. ლორთქიფანიძის ქ.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა	
	მისამართი:
ქ. თბილისი ი. ხიორტლაძის ქუჩის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.03.042.426) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.	
თარიღი: 2022 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შპს "არქიფექტორი"
შ.პ.ს "STS" (Smart Transportation Solutions) ტელ: 577 15-55-75	შეასრულა: ნიკა სიდამონიძე ტელ: 598-77-88-48 შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 1.12.1-3ც
- 1.12.2-3ც
- 2.1-3ც
- 2.3-2ც
- 3.1-1ც
- 3.24-6ც
- 4.1.4-2ც
- 4.1.5-1ც
- 4.1.6-1ც
- 5.19.1-8ც
- 5.19.2-8ც
- 8.13-1ც
- 8.13-1ც

პირობითი აღნიშვნები







შენიშვნა:
პანდუსის პარამეტრები განისაზღვრება 41-ე დადგენილების ქვეთავი 406 -ის მიხედვით.

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS